# VIII კლასი

1) თოფის გასროლის ხმა გასროლის ადგილიდან 1კმ–ის დაშორებით ადამიანმა გაიგონა 3 წამში. ამ მონაცემების მიხედვით გამოთვალეთ ბგერის გავრცელების სიჩქარე ჰაერში.

2) დროის რა ერთეულებით სარგებლობაა უფრო მიზანშეწონილი იმ შემთხვევაში როცა ვზომავთ: ა)ადამიანის წარმოშობიდან განვლილ დროს; ბ) ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას; გ) ფეხბურთის მატჩის დროს; დ) გაკვეთილის ხანგრძლივობას; ე) თოფიდან გასროლილი ტყვიის მოძრაობის ხანგრძლივობას სამიზნემდე.

3) ატმოსფერული ჰაერის 1სმ$^3$ მოცულობა $27*10^{18}$ მოლეკულას შეიცავს. რამდენი მოლეკულა იქნება ოთახის ჰაერში, თუ ოთახის ზომებია 4მ*5მ*2მ.

4) რა მასის ნავთით არის სავსე ცილინდრული ავზი, რომლის ფუძის ფართობია 20დმ$^2$ და სიმაღლე 12დმ (ნავთის სიმკვრივეა 800კგ/მ$^3$ ანუ 1მ$^3$ ნავთის მასა 800კგ-ია).

5) ერთ დროს ადამიანები სიგრძის გაზომვისას ერთეულებად იყენებდნენ ნაბიჯს, მტკაველს, ციდს, გოჯს და სხვა. რა ნაკლი ჰქონდა ამ ერთეულებს?